
თავი - 2

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება და რეგულირება

შინაარსი

- ❖ ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ისტორია.
- ❖ ბუღალტრის პროფესია.
- ❖ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო რეგულირება.
- ❖ ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში.
- ❖ საწარმოთა ორგანიზაციული სამართებრივი ფორმები.

2.1. ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ისტორია

ბუღალტრული აღრიცხვა ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა, მისი განვითარების ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5000 წლის წინანდელი სამეურნეო ოპერაციების ჩანაწერებია აღმოჩენილი ეგვიპტესა და საბერძნეთში.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა აღრიცხვის ობიექტები, იხვეწებოდა აღრიცხვის მეთოდები და აღრიცხვა მარტივი ფორმიდან, თანამედროვე განვითარებულ ფორმად იქცა.

ბუღალტრული აღრიცხვის წინაპირობების შექმნა დამწერლობისა და არითმეტიკის განვითარებას უკავშირდება. განსაკუთრებული წვლილი აღრიცხვის განვითარებაში რომაელებს მიუძღვით, სადაც საფუძველი ჩაეყარა პირველად ლოკუმენტებთან ერთად რეგისტრებისა და საბუღალტრო წიგნების გამოყენებას.

აღრიცხვის შემდგომი განვითარება აღორძინების ხანაში. ამ პერიოდიდან საბერძნეთში ჩნდება აღრიცხვის მუშაკები რომელთაც „აუდიტორებს“ უწოდებდნენ. „აუდიტორები“, სახელმწიფო მოხელეებისა და თანამდებობის პირების ლოკუმენტაციას ამოწმებდნენ და მათ სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობას ადგენდნენ. („აუდიტორი“ ლათინურიდან აუდირე – მოსმენა).

XV საუკუნიდან ჩნდება ტერმინი „ბუღალტერი“. რამდენადაც სპეციალისტი აღრიცხვას აწარმოებდა სპეციალურ წიგნებში, სახელწოდება ბუღალტერია წიგნს უკავშირდება.

ასწლეულების მანძილზე ბუღალტრული აღრიცხვა უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო სახელმწიფო საქმიანობასთან (კერძოდ გადასახადების აკრეფასთან), მაგრამ ეკონომიკაში სამრეწველო რევოლუციამ წამოაყენა ახალი მოთხოვნები. მსხვილი საწარმოები თანდათანობით ზრდიდნენ დაფინანსებას და მმართველობით აპარატს. წარმოიქმნა ორი ჯგუფი: დამფუძნებლები და მმართველები. პირველი ჯგუფი ითხოვდა მეორისაგან ფირმისათვის გადაცემული სახსრების შენახვისა და გამოყენების შესახებ საინფორმაციო ანგარიშებს. თუმცა ასეთი ინფორმაციის დაგროვებით თვითონ მენეჯერებიც იყვნენ დაინტერესებულნი რადგანაც ხვდებოდნენ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია ფირმის რესურსების სამართავადაც სასარგებლოა; ამგვარად თანდათანობით განვითარდა ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება და საფუძველი ჩაეყარა მმართველობითი აღრიცხვის განვითარებას.

2.2. ბუღალტრის პროფესია

აღრიცხვამ წარმოშვა საინტერესო, შემოქმედებითი, პრესტიჟული პროფესია – ბუღალტერი. იგი უძველესი პროფესიაა. ბუღალტრის პროფესიის მქონე პირები დასაქმებული არიან მრავალ სფეროში. ბუღალტერმა შესაძლოა ორგანიზაციაში შეასრულოს ერთი ან რამდენიმე ფუნქცია. თუ ისინი უშუალოდ საწარმოში მუშაობენ მათ შეიძლება შეასრულონ, ფინანსური აღრიცხვის, მმართველობითი აღრიცხვის, ფინანსური მენეჯერის ან შიდა აუდიტის ფუნქცია. ბევრი ბუღალტერი მაღალი კვალიფიკაციის წყალობით, მენეჯერი და დირექტორი ხდება და ეძლევა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კომპანიის საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით.

ბუღალტერი, რომელსაც გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია, შეიძლება ეწეოდეს აუდიტორულ საქმიანობას. არსებობს გარე და შიდა აუდიტი. გარე აუდიტი არის

დამოუკიდებელი შემოწმება და აზრის გამოხატვა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. შიდა აუდიტი არის შეფასებითი საქმიანობა, რომელიც არსებობს როგორც სამეურნეო ერთეულის სამსახური. მის ფუნქციებში სხვა ფუნქციებთან ერთად, შედის ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების შესაბამისობისა და ეფექტურობის შემოწმება, შეფასება და მონიტორინგი. აუდიტორის საქმიანობა მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს და შესაბამის კვალიფიკაციას. ჩვენ ქვეყანაში ამ ფუნქციას „პროფესიონალი ბუღალტრები“ ასრულებენ.

იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს თავისი მოვალეობები, „პროფესიონალი ბუღალტერი“ უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებიდან ერთ-ერთი ძირითადია სათანადო განათლება და პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე. ამასთან ერთად, ის უნდა ფლობდეს პროფესიონალთა ეთიკის კოდექსის პრინციპებს. როგორიცაა:

- ✓ პატიოსნება;
- ✓ ობიექტურობა;
- ✓ პროფესიული კომპეტენტურობა და სათანადო ყურადღება;
- ✓ კონფიდენციალობა;
- ✓ ტექნიკური სტანდარტების დაცვა.

ადამიანს, რომელიც ამ პროფესიას ირჩევს გრძელი და რთული გზის გავლა მოუწევს „პროფესიონალის“ დონის მიღწევამდე, თეორიული სრულყოფისა და პრაქტიკული წრთვნის კუთხით. თუმცა ეს გზა საკმაოდ საინტერესოა და ეს პრესტიჟული პროფესია ამ თავდაუზოგავ შრომას იმსახურებს.

2 . 3 . ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო რეგულირება

ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საბუღალტრო აღრიცხვასა და საწარმოთა საქმიანობას. კანონმდებლობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

აღრიცხვის დარგის სპეციალისტთა მიზანს წარმოადგენს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა ქვეყნის აღრიცხვის სისტემებისა და მარეგულირებელი აქტების ჰარმონიზაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემის გადასაჭრელად ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო ხერხი იყო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტის (ბასსკ) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შექმნა.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტი შეიქმნა 1973 წელს ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, მექსიკის, ნიდერლანდების გაერთიანებულ სამეფოს, ირლანდიისა და აშშ-ის პროფესიონალ ბუღალტერთა შეთანხმების შედეგად. წესდებას ხელი მოეწერა 1982 წლის ნოემბერში.

2001 წლის 1 აპრილიდან სტანდარტების შემუშავებული საერთაშორისო ორგანოს წესდება შეიცვალა და ბასსკ-ს დაერქვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბასსს). 1973 წლიდან 2001 წლამდე ბასსკ-მა გამოსცა ბუღალტრული აღრიცხვის 41 საერთაშორისო სტანდარტი. 2003 წლიდან ბასსს-ის მიერ

გამოცემულ სტანდარტებს ეწოდებათ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს). გამოცემული 41 ბასსებ-ის სახელწოდება არ შეიცვლება. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ 2018 წლის 31 მდგომარეობით გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) მოიცავს 15 ფასს-ს, 26 ბასს და ინტერპრეტაციებს.

ბასსს-ის ამოცანებია:

- ✓ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად შეიმუშაოს ერთიანი გლობალური ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომელიც იქნება მაღალი ხარისხის, გასაგები და განხორციელებადი, რათა მსოფლიოს კაპიტალის ბაზრების მონაწილეებსა და სხვა მომხმარებლებს დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ✓ ხელი შეუწყოს ამ სტანდარტების გამოყენებასა და განუხრელ დაცვას;
- ✓ დაუახლოვოს ერთმანეთს ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები და საერთაშორისო სტანდარტები მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების მისაღებად;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) – აღრიცხვის პრინციპების ფორმულირებაა, რომლითაც მოითხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე და შესადარისი ინფორმაციის ასახვა, რათა დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას;
- ✓ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1977 წელს. მის წევრებს წარმოადგენენ მსოფლიოს უმეტესი ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციები. იგი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემუშავებაში წამყვან ორგანიზაციად თვლის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ყოველმხრივ ეხმარება მას მუშაობაში. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიზანს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, მმართველობითი აღრიცხვის, პროფესიული ეთიკის და განათლების საერთაშორისო მოთხოვნების განვითარება.
- ✓ საქართველოში გარდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) 2017 წლიდან მოქმედებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს) და მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი.

2 . 4 . ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში

საქართველოში ანალოგიურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ), რომელიც შეიქმნა 1998 წლის მაისში. ბაფ-ი საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი წევრი ორგანიზაციაა 2000 წლიდან.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით 1999 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, რომლის თანახმად საქართველომ აღიარა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ამ კანონის მიხედვით კერძო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების თვითრეგულირებას ახორციელებდნენ ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციები, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების აღრიცხვის რეგულირებას ახდენდა ფინანსთა სამინისტრო.

ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციები შეიმუშავებდნენ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მეთოდოლოგიებს. ახდენდნენ ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლებას და უზრუნველყოფდნენ მათ პროფესიულ სერტიფიცირებას.

ამ კანონის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია ამტკიცებდა ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას, ბუღალტრული აღრიცხვის დროებით სტანდარტებს, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2001 წლის 1 იანვრიდან ყველა საწარმო, გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა, მცირე საწარმოების და არაკომერციული იურიდიული პირებისა ვალდებული იყო ანგარიშგება ეწარმოებინა ბასს-ების მიხედვით, ხოლო დანარჩენები არ იყვნენ ვალდებული, მაგრამ უფლება ჰქონდათ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ეწარმოებინათ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტორული საქმიანობა რეგულირდებოდა „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2012 წლის 29 ივნისს საქართველოში მიღებული იქნა **კანონი № 6598-რს „საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“**, რომელიც ადგენდა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს.

ამ კანონის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ყოფილიყო შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისაგან.

სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს ადგენდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი. კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგებოდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS for SMEs) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტებისაგან.

2016 წლის 8 ივნისს მიღებული იქნა კანონი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. აღნიშნული კანონის რეგულირების სფერო განისაზღვრა შემდეგნაირად: ეს კანონი ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული

საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს.

ამ კანონის მიხედვით საწარმოები დაიყო ოთხ კატეგორიად:

მეოთხე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება;

მესამე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება;

მეორე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება;

პირველი კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება; ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება;

კანონი ასევე საზღვრავს სღპ-ს - საზოგადოებრივად დაინტერესებული პირს.

- **სღპ და პირველი კატეგორიის საწარმო** ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.
- **მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოები** ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მსს სტანდარტების შესაბამისად, ამასთან მას უფლება აქვს გამოიყენოს ფასს სტანდარტები.
- **მეოთხე კატეგორიის საწარმოები** ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად, ამასთან მას უფლება აქვს გამოიყენოს ფასს და მსს სტანდარტები.

2 . 5 . საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

სამეურნეო საქმიანობა შეიძლება განხორციელებულ იქნას ორგანიზებული ფორმით-საწარმოს სახით. ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით, საწარმო განიხილება, როგორც ავტონომიური ერთეული, რომელიც დამოუკიდებელია არა მარტო

კლიენტებისაგან, არამედ მფლობელებისა და თანამესაკუთრებისაგანაც. სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით და სხვადასხვა ქვეყანაში ის სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი.

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

კანონით დადგენილი მეწარმე სუბიექტები არიან:

- ✓ ინდივიდუალური მეწარმე (იმ);
- ✓ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- ✓ კომანდიტური საზოგადოება (კს);
- ✓ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- ✓ სააქციო საზოგადოება (სს); და
- ✓ კოოპერატივი.

საწარმოს იურიდიული ფორმის აღწერისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ როგორ პასუხისმგებლობას ატარებენ მფლობელები თავიანთი ფორმის საფინანსო ვალდებულებების მიმართ. განასხვავებენ ორი სახის პასუხისმგებლობას: შეზღუდულს და შეუზღუდავს. შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე მფლობელები პასუხს არ აგებენ ფორმის ვალდებულებებზე. შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დროს მფლობელები პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით. ე.ი. როგორც იმ ნაწილით, რომელიც დაბანდებულია ფირმაში, აგრეთვე იმ ნაწილითაც, რომელიც არაა დაბანდებული ფირმაში.

განვიხილოთ საწარმოს ფორმების თავისებურებები ცალ-ცალკე.

ინდივიდუალური მეწარმე - არის ფიზიკური პირი, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. იგი არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად მთელი თავისი ქონებით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება - არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები - უშუალოდ, პირდაპირ შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სრული ამხანაგობის მფლობელთა შორის, როგორც წესი, იდება ხელშეკრულება. მასში განისაზღვრება მფლობელთა შორის დანაწილების პრინციპები, ასევე ამხანაგობიდან მათი გამოსვლის პირობები და ვალდებულებების განაწილების პრინციპები. მათ სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ გავიდნენ ამხანაგობიდან და მოთხოვონ სხვა მფლობელებს თავიანთი წილის შესაბამისი ღირებულების საფასური.

კომანდიტური საზოგადოება - არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა მეწარმეობას, სადაც ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს შეზღუდული განსაზღვრული

თანხით (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (სრული პარტნიორები - კომპლემენტარები).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ.

შეზღუდულ პასუხისმგებლობას, საზოგადოებისათვის ის უპირატესობა აქვს, რომ აადვილებს საკუთარი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობას. რადგან თითოეული პარტნიორის რისკი შეზღუდულია და პირიქით, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმისათვის დამახასიათებელია ის ნაკლოვანება, რომ პოტენციური კრედიტორები საემაოდ თავშეკავებულნი არიან სესხის გაცემის საკითხში და შეიძლება შემოიფარგლონ განსაზღვრული კაპიტალის ოდენობამდე.

სააქციო საზოგადოება - არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალური სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს აქციონერის მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.

სააქციო საზოგადოების მფლობელებს აქციონერები ეწოდებათ. აქციონერებად აქციების შესყიდვის შედეგად ხდებიან. სააქციო საზოგადოების მფლობელები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

კოოპერატივი - არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივის კაპიტალი იქმნება წევრების შენატანებით (პაი). მისი მინიმალური ოდენობა წინასწარ დადგენილი არ არის და განისაზღვრება წესდებით. კოოპერატივის წევრის პაის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. მეპაიები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ.

ნებისმიერი ფორმის სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში მეპატრონის (ინდ. მეწარმის, პარტნიორისა თუ აქციონერის) მიერ ჩადებულ თანხას ან ქონებას ეწოდება საწარმოს კაპიტალი. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ფორმას აირჩევს მეწარმე სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, ის მუდმივად არის დაინტერესებული იმ ინფორმაციით, თუ რა ცვლილებას განიცდის მის მიერ ამ ბიზნესში დაბანდებული კაპიტალი, როგორც თვისობრივად, ასევე შედეგობრივად.

ბუღალტრული აღრიცხვა სწორედ, ამ აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფს ბიზნესით დაინტერესებულ პირებს და ამას ახერხებს გარკვეული მეთოდების გამოყენებით.